

წიგნის გამომცემელი ამხანაგობა  
„სახალხო ბიბლიოტეკა“ № 1.

ბ. შორაპანი.

ამჟს თუ არა \_\_\_\_\_

საქართველოს \_\_\_\_\_

კანონიერი უფლება მოითხოვოს

ავტონომია \_\_\_\_\_

(მცირე ისტორიულ-იურიდიული მიმოხილვა)

შანი შანი შანი

თბილისი  
სტამბა „სორაპანი“  
1917



წიგნის გამომცემელი ამხანაგობა  
„სახალხო ბიბლიოტეკა“ № 1.

25/10 922

მ. შოღლიანი.

ამჟს თუ არა \_\_\_\_\_

საქართველოს \_\_\_\_\_

კანონიერი უფლება მოითხოვოს

34007

ავტონომია \_\_\_\_\_

(მცირე ისტორიულ-იურიდიული მამოხილვა)

უასი ორი უკუნი



თბილისი  
სტამბა „სორაპანი“  
1917

## ავტორისაგან.

ეს წიგნაკი პირველად ამ ათის წლის წინ დაიბეჭდა (ფსევდონიმით) ქ. ქუთაისში, მაგრამ მაშინდელ საცენზურო პირობებისა გამო სტამბას ვერ გამოსცილდა: მთელი გამოცემა დაატყვევეს.

დღეს საცენზურო პირობები შეიცვალა და თანაც გაცხოველდა ფართო საზოგადოების ინტერესი წიგნაკში გარჩეულ საკითხისადმი. ამიტომ წიგნაკს ხელმეორედ ვბეჭდავთ—სრულად უცვლელად, იმავე სახით, როგორც პირველად იყო დასტამბული.

აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფ-  
ლება მოითხოვოს ავტონომია.

(მცირე ისტორიულ-იურიდიული მიმოხილვა.)

არა ერთხელ და ორჯერ აღძრულა ქარ-  
თულს პრესაში საკითხი საქართველოს ავტო-  
ნომიის შესახებ. ბევრი საგულისხმო წერილი  
დაიბეჭდა ამ საგანზე, ბევრი იმის დასამტკი-  
ცებელი საბუთი იყო წამოყენებული, რომ სა-  
ქართველოს ესაჭიროება ავტონომიური თვით-  
მართელობა, რომ უამისოდ მისი წინსვლა  
მუდამ შეფერხებული იქნება, რომ ამას მოი-  
თხოვს ადგილობრივ მუშა-ხალხის ინტერესე-  
ბიც და სხვ. და სხვ., — ერთის სიტყვით,  
საგნის თეორეტიული და რამოდენადმე პრაქ-  
ტიკული მხარეც ამ-უამად საკმარისად გა-  
მორკვეულია; მხოლოდ ჯერ თითქმის არა  
თქმულა რა მისს იურიდიულს მხარზე. აქა-იქ  
თუ გაკვრით იტყოვდა ვინმე, რომ საქართვე-  
ლოს, სხვათა შორის, უფლებაცა აქვს მოითხო-  
ვოს სრული თავისუფლება შინაურ საქმეების  
მოწყობაში, თორემ ეს საკითხი განკუთვნი-  
ლად და ვრცლად თითქმის არავის განუხილავს,  
მიუხედავად იმისა, რომ ის ფრიალ საინტერე-  
სო და საგულისხმიეროა.

აი სწორედ ამ ნაკლის შევსება გვსურს ჩვენ  
ამ წერილში. ქვემოთ ჩვენ გვერდს ვუქცევთ

ავტონომიის **საჭიროებაზე** ლაპარაკს [ვინაიდან, ჯერ ერთი, ეს თვით-ქეშმარიტებად მიგვაჩნია და გარდა ამისა ეს ჩვენზე ადრე სხვებმაც დაამტკიცეს, ნათქვამის განმეორება-კი მაინც-დამაინც საინტერესოს არას წარმოადგენს]; ჩვენ მხოლოდ გვინდა დავასაბუთოთ ის აზრი, რომ საქართველოს სრული **უფლება** აქვს მოითხოვოს ავტონომია, რომ ეს უფლება დამყარებულია მტკიცე, შუურყეველ ისტორიულ-იურიდიულ საბუთებზე, რომელთა სინამდვილეში ეჭვიც არავის შეუძლიან შეიტანოს. \*)

ამნაირ იურიდიულ საბუთად ჩვენ მიგვაჩნია 1783 წელს რუს-ქართველთა შორის დადებული ხელშეკრულება [„ტრაქტატი“].

1783 წლის ხელშეკრულება გამოიწვია საქართველოს მეფის ერეკლე მეორის სურვილმა მტრებთან საბრძოლველათ და საზოგადოდ თვის სამეფოს მთლიანობის საუკეთესოდ დასაცავათ რუსეთის **მოკავშირეობის** და მფარველობის მოპოვებისა.

ეს თუ ერთად-ერთი არა, უმთავრესი მიზეზი მაინც იყო, რომელმაც აიძულა საქართველო რუსეთს დაჰკავშირებოდა. ამაზედ არის ნათქვამი ხელშეკრულებაში: „მათი იმპერატორობითი უდიდებულესობა \*\*] თავისს იმპერა-

---

\*) ქვემო მოყვანილი ფაქტიური ცნობები უმთავ ესად იხილე ზ. ავალიშვილის თხზულებაში: „Присоединение Грузии къ Россіи“.

\*\*] იგულისხმე: რუსეთის იმპერატორიცა ეკატერინე მეორე.

ტორობითს თავდებობას იძლევა, რომ დაიცავს მისის ბრწყინვალეების მეფის ერეკლე თეიმურაზის ძის აწინდელ სამფლობელოს მთლიანობას და ამავე თავდებობას გაავრცელებს იმ სამფლობელოზე, რომელიც კვლავ ნაშოვნია იქნება მისთვის და დაუმკვიდრდება მას“ (მუხლი 2].

ერეკლეს, თავისის მხრივ, პირობას იძლევა, დღეის ამიერიდან რუსეთის გარდა სხვა მფარველი არ ვეძიო, არც სპარსეთს და არც სხვა რამე მპყრობელობას მხარი არ მივცე (მუხლი 1) და, საზოგადოდ, სხვა სახელმწიფოსთან რუსეთის დაუკითხავად საქმე არ ვიქონიოვო (მუხლი 4). გარდა ამისა, ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ „ხსენებულნი \*) მეფენი, **მემკვიდრეობით აღიან-რა სამეფო ტახტზე** (ხაზს ჩვენ უსვამთ), მაშინვე ატყობინებენ ამას რუსეთის საიმპერატორო სასახლეს და ითხოვენ თვის ელჩის პირით იმპერატორობითს დასტურს (подтверждение) ინვესტიტურიით“ (მუხლი 3].

კარგა დავუკვირდეთ ამ უკანასკმელს მუხლს. პირველ შეხედულებაზე ის თითქოს იმას ამბობს, რომ საქართველო სრულს დამოკიდებულობაშია რუსეთისაგან, თითქოს რუსეთს შეუძლიან არ დაამტკიცოს საქართველოს მეფე, თუ ეს მოისურვა. მაგრამ ეს ასე არ არის: მართალია, ამ მუხლში ნათქვამია, რომ საქართველოს მეფემ ტახტზე ასვლისათანვე უნდა

\*) იგულისხმე: ქართლ-კახეთის მეფენი.

შეატყობინოს ეს გარემოება რუსეთის მთავრობას, მაგრამ იქვე ნათქვამია, რომ ის „მემკვიდრეობით“ აღის მამა-პაპის ტახტზე, — ისე რომ რუსეთის მთავრობის-მიერ დასტურის დაცემა და ინვესტიტურის ბოძება მარტო საერთაშორისო ფორმალიზმის დასაცველათაა საჭირო, იურიდიულად-კი რუსეთის იმპერატორს ნება არა აქვს არ დაამტკიცოს საქართველოს მეფე, თუ მას მისის ქვეყნის [საქართველოს] კანონებით ერგება სამეფო ტახტი. ამ-რიგად, ხელშეკრულობის მესამე მუხლი საქართველოს თვითმდგომარეობის, თვითარსებობის შემკვეცი-კი არ არის, არამედ მაჩვენებელია მისის სრულის დამოუკიდებლობისა რუსეთისაგან შინაურს საქმეებში. უფრო ცხადადა სჩანს ეს გარემოება ამავე ხელშეკრულობის მეექვსე მუხლიდან, საცა პირდაპირ ნათქვამია, რომ „შინაურ მმართველობასთან დაკავშირებული ძალა-უფლება, წესი და სამართალი შიენდოს მისს ბრწყინვალეობას მეფეს\*) და აეკრძალოს ჩვენს\*\*] სამხედრო-სამოქალაქო მთავრობას რაიმე მისს განკარგულებაში ჩარევა“ (ხაზს ჩვენ უსვამთ).

ყველა ზემონათქვამი ცხად-ჰყოფს იმ ურთიერთობას, რომელიც იურიდიულად არსებობს საქართველოს და რუსეთს შორის 1783 წლის ხელშეკრულობის ძალით. ეს ურთიერთობა შე-

\*) იგულისხმე: საქართველოს მეფეს.

\*\*\*) იგულისხმე: რუსეთის მთავრობას.

იძლება განვსაზღვროთ, როგორც მოკავშირეობა პროტექტორატის სახით. ამ პროტექტორატის დამახასიათებელი ნიშნები შემდეგია. — ერთის მხრით, საქართველო ხელს იღებს თვითმდგომარე საგარეო პოლიტიკაზე, მეორე მხრით კი რუსეთი პირობას იძლევა და თავისს თავს ვალდებულადა რაცხს სრულებით არ ჩაერიოს საქართველოს შინაურ საქმეებში. ამ რიგად, 1783 წ. ხელშეკრულება საერთოშორისო ხასიათისაა და ამიტომ მისი შეცვლა ან გაუქმება მარტო ორთავ მოკავშირის (საქართველოს და რუსეთის) სურვილით და თანხმობით შეიძლება მოხდეს, უამისოდ-კი არც ერთს მხარეს არავითარი უფლება არა აქვს ცალმხრივის ნებით რაიმე ცვლილება შეიტანოს ხელშეკრულებაში და მით უმეტეს სრულიად გააუქმოს იგი. თუ რომელსამე მხარეს არ უჯობს ხელ შეკრულობის პირობები, მას შეუძლიან მხოლოდ მისი ხელახლა გადათვალისწინება მოითხოვოს; მანამდის-კი ხელშეკრულება ძალაში რჩება და თუ ვინცობაა ერთმა მხარემ მეორეს უმტყუნა ან რამე უფლება შეუზღუდა, ეს მარტოდ მარტო უკანონობად, პირობის გატეხად, საერთაშორისო ხელშეკრულობის დარღვევად უნდა ჩამოერთვას. — იურიდიულად ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ის თავისს მოვალეობის არ ასრულებს, თვით ხელშეკრულობის მნიშვნელობას-კი ამისთანა უკუღმართი საქციელი იოტის ოდენადაც არ ამცირებს. — ამას გვასწავლის საერთაშორისო უფლება, ესევე ნა-

თქვამია თვით 1783 წლის ხელშეკრულობაშიაც, რომლის მეთორმეტე მუხლის ძალით ეს ხელშეკრულობა „სამუდამოდ იღება, მაგრამ თუ საჭირო შეიქნა რისიმე შეცვლა ან მომატება **ორსავე მხრის სასარგებლოთ**, ეს მოხდეს **ორმხრივ შეთანხვების შემდეგ**“ (ხაზს ყველგან ჩვენ უსვამთ). ამ სიტყვებიდან უნდა ვიგულისხმოთ, რომ ხსენებული ხელშეკრულობა, როგორც საქართველოს, ისე რუსეთის თვალშიც საერთაშორისო ურთიერთობის მაჩვენებელი და გამომხატველი იყო, რომ ამიტომ ერთ-ერთს ხელშეკრულ მხარეთაგანს უფლება არა ჰქონდა მეორის დაუკითხავად თავისს გემოზე შეეცვალა უკვე დადებული ხელშეკრულობა, რომ მის მაგიერ ახალ ხელშეკრულობის დადება **მარტო ერთავ მოკავშირის** (რუსეთის და საქართველოს) **ნებაყოფლობით** შეიძლებოდა მომხდარიყო, მანამდისკი ამგვარი შეთანხმება არ მოხდებოდა (და არც მომხდარა), რუს-ქართველთა ურთიერთობის კანონიერება **მარტოდ-მარტო 1783 წლის ხელშეკრულობის** და მიხედვით უნდა განზომილიყო და განიზომოს. რუსეთის მთავრობამ-კი თავისის საკუთრის ნებით, ქართველების დაუკითხავად **და მათის სურვილის წინაღმდეგაც-კი**, ნელ-ნელა შეუკვეცა მათ თვითმდგომარეობა და ბოლოს სრულებითაც-კი „გააუქმა“ (თავისს ჭკუაში!) 1783 წლის ხელშეკრულობა. აქედან ცხადია, რომ რადგან რუსეთის მთავრობამ თავისის საკუთარის ნე-

ბით და ქართველების დაუკითხავად შესცვალა თავისი ურთიერთობა მათთან, ვასსალური სახელმწიფო საქართველო ძალად შეუერთა თავისს მიწა-წყალს (ტერიტორიას) და ყოველი უფლება წაართვა მას, ეს მისი მოქმედება ყოველად უკანონოდ და საერთაშორისო უფლების დარღვევად უნდა ჩაითვალოს. რუსეთს უფლება არა ჰქონდა მარტო თავისის სურვილისდა მიხედვით გაეუქმებინა საქართველოს პროტექტორატი. მას შეეძლო მხოლოდ, თუ იგი მისთვის, რუსეთისთვის, ხელსაყრელი არ იყო, უარი ერთქვა მასზე და ქართველების წინ დაეყენებინა დილემა: ან ნამდვილ ქვეშევრდომებად იყავით, ან არა და თქვენზე სრულიად ხელს ვიღებო. რა თქმა უნდა, როგორც ამას ქვემო აშკარად დავასაბუთებთ, რუსეთს ამგვარ დილემის დაყენების ზნეობრივი უფლება არა ჰქონდა, მაგრამ ამით იურიდიული ფორმალიზმი მაინც იქნებოდა დაცული, და ქართველებს რომ ქვეშევრდომობა აერჩიათ, აღარა გვეთქმოდა-რა. მაგრამ ამის მსგავსიც არა მომხდარა-რა: რუსეთის მთავრობამ არავითარი შეკითხვა არ იწება, პირდაპირ „ამოშალა“ თვითმდგომარე საქართველო მსოფლიო რუქიდან. მან უბრალო ფორმალიზმის ასრულება-კი არ სცნო თავისთვის სავალდებულოდ, არ გაჩერდა საერთაშორისო უფლების შეზღავანების წინაშე რამ გზით ვასსალური სახელმწიფო თვის უბრალო პროვინციად აქცია. რა თქმა უნდა, ეს სადმე დასავლეთ საზღვარზე რომ მომხდარიყო, სხვა

სახელმწიფოები ამას არ გააბედვინებდენ რუსეთს,\*) მაგრამ საქელოს სადა ჰყვანდა იმისთანა მეზობლები, რომ გამოჰქომავებიყვნენ და რუსეთისთვის არ დაეჩაგვრინებინათ?! დიალ! რუსეთმა საქართველოს უკანონო წაართვა თვითმდგომარეობა და ამიტომ ის იმითი ვერ გაიმართლებს თავსა, რომ იტყვი და ამბობს კიდევ!): „ჩვენ რომ არა ვყოფილიყავით, თქვენ დაიღუპებოდით, ჩვე ქვეშ რდომებად რომ არ გამოგვეცხადებინეთ, აქამდის თქვენი ხსენება აღარც-კი იქნებოდაო“. ამაზე აი რას ვიტყვით: იმაზე-კი ნუ დავიწყებთ მსჯელობას, რა „**შეიძლება მომხდარიყო**“, არამედ მარტო იმაზე ვილაპარაკოთ, რაც **მოხდა**, მოხდა-კი ის, რომ რუსეთმა ყოვლის უმიზეზოდ და სრულიად უკანონოდ წაართვა მართველებს ეროვნული თავისუფლება, როქელიც მონობას შეუჩვეველ ერისათვის ყოველ საუნჯეზე უძვირფასესია. ამიტომ თუ მართლა სურთ „გააბედნაერონ“ ქართველები, თავი ანებონ მათზე „ზრუნავს“ და ამის ნაცვლად მიანიჭონ მათ თავისუფლება თავიანთ საქმეების წარმოებაში. საქართველო ამ შემთხვევაში

---

\*) ამას ცხადად დაგვანახვებს თუნდ ფილიანდიის მაგალითი, რომელსაც საქართველოსთან შედარებით ნაკლები უფლება ჰქონდა (სხვა არა იყვეს-რა, ის დაპყრობილი ქვეყანა!), მაგრამ ავტონომია მაინც შეინარჩუნა.

მოწყალებას როდი თხოულობს. ის მარტო იმას ითხოვს, რაც მას კანონით ერგება, რაც გამომდინარეობს საერთაშორისო უფლების ელემენტარულ წეს-რიგიდან და რის უარისყოფა რუსეთს არას გზით არ შეუძლიან, თუ-კი ცხადად არ უნდა დაარღვიოს 1783 წელს დადებული ხელშეკრულება, რომელიც თვითონვე საერთაშორისო აქტად აღიარა და რომლის ძალითაც საქართველომ რუსეთი ბატონ-პატრონად-კი არ მოივლინა, არამედ მარტოოდენ კავშირი შეჰკრა მასთან, მოკავშირედ აღიარა.

ზემო ჩვენ განვიხილეთ 1783 წელს რუს-ქართველთა შორის დადებული ხელშეკრულება და დავამტკიცეთ, რომ იგი სრულს თავისუფლებას ანიჭებს საქართველოს შინაურ მართავ-გამგებლობაში, რომ რადგან იგი საერთაშორისო ურთიერთობის მაჩვენებელია, მის შესაცვლელათ ან გასაუქმებლათ ორსავე მხარის ნებაყოფლობა იყო საჭირო, რუსეთს-კი უფლება არა ჰქონდა მარტო თავისი ცალ-მხრივის ნებით წაერთმია ქართველებისთვის დამოუკიდებლობა, და ახლაც, თუ საქართველოს ფაქტიურად არა აქვს მინიჭებული ამგვარი დამოუკიდებლობა, ეს მარტო იმას მოასწავებს, რომ რუსეთმა დაარღვია და კვლავ არღვევს ხელ-შეკრულებას, თავისი ფიზიკურის ძალითა სარგებლობს და კანონიერს, იურიდიულს კუთვნილებას არ ანებებს ქართველს ერს. ამ ჩვენის აზრის სავესებით დასამტკიცებლათ

და განსამარტებლათ საჭიროა კიდევ ორიოდე სიტყვა ვსთქვათ მეორე იურიდიულ საბუთზე, რომელსაც მუდამ პიროში გვჩიონ ჩვენის უფლების მოწინაღმდეგენი. ეს უკანასკნელი საბუთი გახლავსთ საქართველოს მეფის გიორგი მე-XII-ის ელჩის-მიერ რუსეთის მთავრობისადმი მიერთმეული ეგრედ წოდებული „სათხოვარი მუხლები“ (Просительные пункты).

საქმე აი როგორ იყო.—1800 წლის დამლევს გიორგი მეფემ სამი რწმუნებული გაგზავნა რუსეთის იმპერატორ პავლესთან და დაავალა თხოვნა მიერთმიათ მისთვის საქართველოს რუსეთის სრულს ქვეშევრდომობაში მიღების შესახებ, **ოდონდ მეფობა გიორგის მემკვიდრეობას დარჩენოდა**—ეს პირობა აუცილებლად არის აღიარებული შესაფერს ინსტრუქციაში. რწმუნებულებმა შეადგინეს პეტროგრადში შესაფერი საბუთი ღპავლეს მიაართვეს. უკანასკნელმა მოიწონა იგი და ხელ-ახლა გაუგზავნა გიორგის ხელმოსაწერათ, რათა ამის შემდეგ კვლავ დაებრუნებინათ პეტროგრადში მის, პავლეს, ხელ მოსაწერათ. მაგრამ ვიდრე რწმუნებულნი თბილისში ჩამოვიდნენ, გიორგი გარდაიცვალა, მისი მემკვიდრე, ბატონიშვილი დავითი-კი ჯერ ტახტზე არ ასულიყო ადგილობრივ რუსეთის სამხედრო მთავრობის წყალობით, რომელსაც, მართალია, იურიდიული უფლება არა ჰქონდა მისთვის ტახტზე აბრძანება აეკრძალნა, მაგრამ მაინც სჩადიოდა ამას, ხელმძღვანელობდა-რა პეტროგრადიდან მიღებულ ინსტრუქციებით,

როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ. ამ რიგად, „სათხოვარ მუხლებისათვის“ საქართველოს მეფეს ხელი არ მოუწერია, აქიდან-კი პირდაპირ გამომდინარეობს, რომ იურიდიულად ამ საბუთს არავითარი ფასი არა აქვს: ეს მარტო პროექტი იყო და რადგან იგი არ განხორციელებულა, სათანადო პირთ მისთვის ხელი არ მოუწერიათ, — მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მით უმეტეს უტყუარ იურიდიულ საბუთის უარისაყოფლათ, როგორ საბუთადაც უდავოდ უნდა ჩათვალოს 1783 წლის ხელშეკრულობა.

იურიდიულად მარტო ეს მოსაზრება კმარა „სათხოვარ მუხლების“ მნიშვნელობის განსაქიქებლათ, მაგრამ ჩვენ პატარა უფრო შორს წავიდეთ, გამოვავაშკარავოთ რუსეთის პოლიტიკა საქართველოს შესახებ და დავამტკიცოთ, რომ ეს პოლიტიკა ორჭოფობით ხავე იყო, რომ იგი მარტოდ-მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობისაკენ იყო მიმართული, რაც რუსეთის მთავრობის წინასწარ განეზრახა და მხოლოდ საბაბს ეძებდა ამ თავისის წინასწარ განზრახვას განსახორციელებლათ რომ ის ათასს უკანონო გზასა და ხერხსა ხმარობდა, ოღონდ-კი ეს თავისი სურვილი სისრულეში მოეყვანა და საქართველოსათვის თვითმდგომარეობა წაერთმია როგორმე.

„სათხოვარ მუხლების“ იურიდიულ ფასიანობის თაყვანისმცემელნი გაიძახიან: დახით, თვით მეფე გიორგიმ ითხოვა, ქვეშევრდომად მიმი-

ლეთო, და თუ ვისმე უნდა დაემდურნეთ პო-  
ლიტიკურ დამოუკიდებლობის დაკარგვისთვის,  
მარტო თქვენს მკვიდრს მეფესაო... მაგრამ  
ჯერ ერთი ეს ვიკითხოთ: თუ აქ რალაც გაუ-  
გებრობა არ არის დაფარული, რა ჭკუაში მო-  
უვიდოდა სრულ-უფლებიან მეფე გიორგის ქვე-  
შევრდომობის თხოვნა? რათ არჩია მან თვით-  
მდგომარე მეფის უფლებას უბრალო იმპერა-  
ტორის მოადგილეობა\*)?—საქმე გაუჭირდაო,  
იტყვიან. დიად, სრული ჭეშმარიტებაა, რომ  
საქმის გაუჭირებლად ის ამას არ ჩაიდენდა.  
მაგრამ ერთი ესეც ვიკითხოთ: **ვისის წყალო-**  
**ბით** გაუჭირდა მას საქმე? ამ კითხვაზე პასუხის  
მოსაცემათ საჭიროა გავითვალისწინოთ საქარ-  
თველოს ისტორია 1783–1800 წლების გან-  
მავლობაში, ესე-იგი პროტექტორატის ხანა, და  
ვნახოთ, როგორ ასრულებდენ როგორც სა-  
ქართველო, ისე რუსეთი 1783 წლ ის ხელშეკრუ-  
ლობაში მოხსენებულს პირობებს. ეს მიმოხილვა  
დაგვანახვებს, რომ მთელი ისტორია მოწმობს  
ერთის მხრივ ქართველების პირიანობას და თავ-  
დადებულობას რუსებისათვის, მეორე მხრივ-კი  
რუსეთის მიერ ყოველს ნაბიჯზე პირის გატე-  
ხას, რუსეთის მთავრობის უპირულობას.

1787 წელს აღა-მაჰმად-ხანმა თავი მოუყარა  
თვის მფლობელობის ქვეშ სპარსეთის ყველა

---

\*) თუ კარგად დაუკვირდე<sup>1</sup> რთ „სათხოვარ მუხ  
ლკ ში“ აღნიშნულს საქართველოს მეფის მ ქმე  
დების სფეროს, უსათუოდ ამ დასკვნამდე მივალთ.

პროვინციებს და რა გაძლიერდა, მოინდომა, სხვათა შორის, ქართველების დასჯა და-  
ლატისათვის, როგორადაც სთვლიდა იგი მათ  
მიერ რუსეთთან დაკავშირებას. მაგრამ რაკი  
ქართველებისა, ჯერ ერთი, ცოტაოდნად მა-  
ინც ეშინოდა და გარდა ამისა მათი გამოყენე-  
ბაც უნდოდა, შეეცადა მათის გულის მოგე-  
ბას, კაცი გაუგზავნა ერეკლეს და შეუთვალა:  
ოღონდ აღადგინე ვასალური ურთიერთობა  
სპარსეთთან და ყველა ტყვეების დაბრუნების  
გარდა მთელს აღებზეიჯანზე გაგამეფებო, — და  
ნურც არავის ეგონება, რომ აღა-მაჰმად-ხანი  
ცრუობა: სპარსეთისათვის ძალიან საშიში იყო  
საქართველოში რუსეთის დამკვიდრება\*) და  
ოღონდ იქიდან გაეძევებინა როგორმე, საქარ-  
თველოსათვის არას დაიშურებდა. ერეკლემაც  
ჩინებულად იცოდა ეს გარემოება, მაგრამ  
მაინც არ უღალატა რუსეთს, **თუმცა იურიდიუ-  
ლად უფლება ჰქონდა დაერღვია 1783 წლის  
ხელშეკრულობა:** როგორც ვნახავთ, რუსეთმა  
არა თუ არ მიაშველა ამ დროისათვის საჭირო  
ჯარი, არამედ რაც ჯარი ჰყავდა საქართველო-  
ში, ისიც უკან გაიხმო, — ისე რომ რუსეთმა პირ-  
ველმა დარღვია პირობა და საქართველოს შე-  
ეძლო პირობის დარღვევით ესარგებლნა და რუ-  
სეთთან დადებული ხელშეკრულობა გაუქმებუ-  
ლად გამოეცხადებინა. მაგრამ, მიუხედავად ყვე-

---

\* ) ისტორიამ ცხადად დამტკიცა, რომ ეს  
შიში უსაფუძვლო არ იყო.

3907  
...ა ამისა, ერეკლემ უპასუხა ყვენის მოციქულს:  
„დიდი ხანია, რაც რუსეთის მფარველობის  
ქვეშე ვიმყოფები და რაკი ამ მხრივ ერთგულო-  
ბის პირობა მივეც, სპარსელებს ვერ დავუკავ-  
შირდებიო“ სხვა დროსაც ბევრჯერ ისახე-  
ლეს ქართველებმა თავი თავისის პატიოსნო-  
ბით და პირიანობით რუსეთის წინაშე, რუსე-  
ბი-კი ყოველს ნაბიჯზე ლალატობდენ მათ. ამ  
მხრივ მათ დასახასიათებლათ საკმარისია მარ-  
ტო ერთი მაგალითი მოვიყვანოთ.—1787  
წელს, —სწორედ მაშინ, როცა სპარსეთი გა-  
ძლიერდა და ალა-მაჰმად-ხანი გალაშქრებას  
აპირობდა საქართველოს დასამონავებლათ, —  
რუსის ჯარის უფროსს, პოლკოვნიკ ბურნა-  
შოვს, ბრძანება მოუვიდა, უკან დაბრუნდიო.  
ამის შემდეგ, მიუხედავად საქართველოს ელჩის  
მუდმივის თხოვნისა, რუსეთის მთავრობა ყურ-  
საც არ იბერტყდა და არავითარს დახმარებას  
არ უწევდა თავისს მოკავშირე ქართველებს;  
მან თითქო ხელი დაიბანა საქართველოს ბედ-  
იღბალზეო და მხოლოდ 1795 წლის 1 ოქტომ-  
ბერს უბრძანა პოლკოვნიკ გუდოვიჩს თბილი-  
სისაკენ წასულიყო ირის პოლკით... მაგრამ ეს  
მიშველება ძალაზე ნაგვიანები გამოდგა: თბი-  
ლისი უკვე 12 სექტემბერს განადგურებული  
იყო სასტიკ ალა-მაჰმად ხანის-მიერ!..

რა უნდა ვიგულისხმოთ ყველა ამ ფაქტე-  
ბიდან, თუ არ რუსეთის მაშინდელ მთავრობის  
ვერაგული პოლიტიკა, საქართველოს დამოუკი-  
დებლობის დამხობისაკენ მიმართული, მისის

უფლებების შებღალვის მოსურნე? ცხადზე უცხადესია, რომ რუსეთის მთავრობა ყოველს ღონესა ღონობდა, რათა საქმე გაეჭირებინა ქართველებისათვის, — იმ იმედით, რომ ისინი, მოკავშირის მუდმივის ღალტით და მატყუარობით გაწვალებულნი, სხვა რომელსამე მოკავშირეს მოსძებნიდენ და შემდეგ „ღალატისათვის“ დაესაჯა ისინი დამოუკიდებლობის წართმევით\*) ან არა და ქვეშევრდომობა ეძებნინებია მათთვის, — და აჰა, სწორედ ამ უკანასკნელის გეგმის შესრულება მოახერხეს გიორგი მე- $XII$ -ის მეფობის დროს. ეს უკანასკნელი ხედავდა, რომ შველა არსაით იყო, რომ რუსეთი ჯარს არ აწვდიდა, და ამიტომ თავისის ქვეყნის მთლად განადგურებას ზოგიერთ უფლებათა შეკვეცა არჩია, ხოლო რა ნაირად „შეუკვეცეს“ ეს უფლებები, ეს ხომ ყველამ ვიცით!.. ერთის სიტყვით, გიორგი მომაგონებს იმ საბრალო ადამინს, რომელსაც ყელზე დანას აჭერენ და ისე უბრძანებენ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებას: მეზობლები გადაამტერეს, თვითონ არა შველოდენ — და რა უნდა ექნა მას, თუ არ დათანხმებულ იყო საქართველოს თვითმდგომარეობის ცო-

\*) ძალა. უნებურად შეგვეპარება ამგვარი აზრი, თუ დაუკვირდებით ერთ-ერთ ვკატერინეს დროის წარჩინებულ პირის სიტყვებს, რომ „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს შ ე მ ო ე რ თ ე ბ ა ჯერ არა გ ვ ა ქ ვ ს ა ნ ზ რ ა ხ უ ლ ი ო“ (ხაზს ჩვენ უსვამთ).

ტად თუ ბევრად შეკვეცაზე?! იმანაც გადასწყვიტა ამის ჩადენა და ამისთვის გაგზავნა პეტროგრადში ის რწმუნებულები, რომლებზედაც უკვე გვექონდა ლაპარაკი. მაგრამ რაც გინდ მომხდარიყო, გიორგი, როგორც მთელი ქართველობა, სთმობდენ-რა გაჭირვების ძალდატანების ქვეშე ზოგიერთ უფლებებს, არასოდეს არ დასთანხმდებოდენ სრულს პოლიტიკურს არარაობაზე ხელის მოწერას. სწორედ ამითი უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ქვეშევრდომობაზე დაფიცების დროს სამეფო სახლეულობას და საქართველოს წარჩინებულთ ..თითქოს ალყა შემოარტყესო“, როგორც ერთ-ერთი ბატონიშვილი მოგვითხრობს, ხალხშიც მაშინვე არეულობა დაიწყო. ცხადია, რომ ყველა ამის მიზეზი ის გარემოება იყო, რომ სრული ქვეშევრდომობა და პოლიტიკურ თვით-არსებობის წართმევა არსებითად ეწინააღმდეგებოდა ქართველების სურვილსა და მისწრაფებას. ამის დასამტკიცებლათ საკმარისია გადავშალოთ რამდენიმე იმ დროიდან დარჩენილი წერილობითი საბუთი. აი რა არის, მაგალითად, ნათქვამი 1802 წელს კახელების მიერ უმაღლესს სახელობაზე მირთმეულს თხოვნაში: „ჩვენი სურვილი და სათხოვარი ის გახლავსთ, რომ სამშობლოსათვის თავდადებულ გმირის მეფე ერეკლეს ანდერძი\*) დამტკიცებულ იქნეს და მისდა შიხედვით მოგვენიჭოს ჩვენ მეფე, რომლითაც თქვენის უმაღლესობის მფარველობის ქვეშე დავრჩებოდეთ“. ამ სიტყვებიდან ნათლა

\*) ანდერძის ქვეშ აქ იგულისხმება 1783 წ. ხელშეკრულობა

და სჩანს, თუ რა და რა სურდა ქართველობას: რუსეთთან კავშირის დარღვევაზე არავინა ფიქრობდა, მაგრამ ამ კავშირის აუცილებელ პირობად შინაურ საქმეებში სრულს დამოუკიდებლობასა სახედენ. ესევე იყო ნათქვამი მხოლოდ უფრო კონკრეტულ ფორმით, განხილულ „სათხოვარ მუხლებშიაც“. იქაც გაჭირვებამ ბევრი უფლება შეაკვეცინა ქართველებს, მაგრამ შინაურ საქმეებში რუსეთის ჩარევაზე ისინი არასოდეს არ დასთანხმდებოდენ თავისი ნებით, — ისე რომ, ჯერ ერთი, როგორც თავისს ადგილზე აღვნიშნეთ, ფორმულურად „სათხოვარი მუხლები“, როგორც იურიდიული საბუთი, არ არსებობს და არ შეგვიძლიან მას რამე მნიშვნელობა მივცეთ, ხოლო თუ მას ანგარიში გავუწიეთ, მაშინ დამნაშავეს სკამზე უნდა დასვათ მთელი რუსეთის მთავრობა, რომელმაც თავისის უპირულობით საქმე გაუჭირა ქართველებს, სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა ისინი, მათის გაჭირვებულის მდგომარეობით ისარგებლა და ამით დაარღვია საერთაშორისო უფლება.

აი კიდევ ერთი რუსეთის პოლიტიკის დამახასიათებელი მაგალითი. — ბედშავი „სათხოვარი მუხლები“ გიორგის რწმუნეგულთ მიართვეს იმპერატორ პავლეს 1800 წლის 19 დეკემბერს, საქართველოს შემოერთების მანიფესტს-კი პავ-

ლემ ხელი მოაწერა 18 დეკემბერს\*), ესე-იგი ერთის დღის წინად, უფრო ადრე-კი, სახელდობრ 15 ნოემბერს, ესე-იგი თითქმის ხუთის კვირის წინად, საქართველოში დაბანაკებულ ჯარის მთავარ-სარდალს, გენერალ კნორინგს, შესაფერი ინსტრუქცია გაეგზავნა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო იგი გიორგის გარდაცვალების შემდეგ. ამ ინსტრუქციაში პირდაპირ ნათქვამი იყო, არას გზით ნება არ მისცე ბატონიშვილს დავითს თავის თავი მეფედ გამოაცხადოსო.

ყველა ამისდა მიხედვით ვგონებ არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ რუსეთს საქართველოს (გინდ ძალითაც) შეერთება დიდი ხნის გადაწყვეტილი ჰქონდა და მარტო მიზეზს უკრეფდა, საბაბს ეძებდა ამ თვისის დიდის ხნის განზრახვის განსახორციელებლათ. რომ ეს პოლიტიკა სრულიად ეწინააღმდეგებოდა და ეწინააღმდეგება ქართველების სურვილის, ამას ვაღიკითხულობდა! ჩვენც სიტყვას ნულარ გავაგრძელებთ და ნათქვამი ვიკმაროთ, მხოლოდ საკითხის იურიდიულ მხარის აღნიშვნით დავკმაყოფილდეთ. ამ მხრივ-კი გვითქვამს და კვლავაც განვიმეორებთ, რომ იურიდიულად 1783 წლის ხელშეკრულობა დღესაც უწინდე ჭურს ძალაშია, რადგან იგი **ორმხრივს, საერთაშორისო აქტს წარმოადგენს** და, როგორც

\*) თუმცა ეს მანიფესტი გამოაქვეყნეს მხოლოდ 1801 წლის 18 იანვარს.

ამ გვარი, არ შეიძლება გაუქმდეს ცალ-მხრივის აქტით, როგორცაა უდავოდ პავლეს მანიფესტი საქართველოს შეერთების შესახებ. აი ამ გარემოებაზე ვამყარებთ ჩვენ საქართველოს **კანონიერს უფლებას ფართო ავტონომიურ თვითმართველობაზე**. ჩვენის აზრით, საქართველოს უფლება აქვს მოსთხოვოს რუსეთს ის, რაც მან 1800 წლის 18 დეკემბერს წართვა, ესე-იგი პოლიტიკური თვითარსებობა. საქართველოს არა სურს არავისი მზრუნველობა, ის თავისს თავს თვითონ უპატრონებს. მზრუნველი მხოლოდ უწლოვანსა სჭირია, ქართველმა ერმა-კი მთელის თავისის ხანგრძლივის ისტორიის განმავლობაში ჩინებულად დაუმტკიცა ქვეყანას თვისი სრულ წლოვანობა. ამისდა კვალად ის შესაფერს ადგილსაც ითხოვს თანამედროვე ეროვნებათა შორის. ის არ მოითმენს დამონავებას, მასა სურს სრული, შეუზღუდავი თავისუფლება თავისს კულტურულ-სოციალურს ცხოვრებაში. მხოლოდ მაშინ ამოისუნთქავს თავისუფლად ქართველი ერი მხოლოდ მაშინ შეეძლება უჩვენოს სხვა ერებს მთელი თავისი სულიერი სიძლიერე, როდესაც ის დაუბრუნდება, რაც მას კანონით ეკუთვნის და რაც უსამართლოდ წართვა რუსეთის ბიუროკრატია.

კიდევ ორიოდ სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ გვესმის 1783 წლის ხელშსკრულობაზე დამყარებულ საქართველოს უფლებათა აღდგენა

დღევანდელ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში.

დღეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია საქართველოს თვითარსებობის აღდგენა იმ სახით, რა სახითაც იგი რუსეთს შეუერთდა ამ ასოცდა თოთხმეტის წლის წინ.

მაშინ საქართველო წარმოადგენდა მონარქიას, მართვა-გამგებლობა ქვეყნისა სწარმოებდა მონარქიულის წესით, მეფე იყო გამომხატველი ერის ნებისყოფისა, სიმბოლო ქვეყნის მთლიანობისა, სუვერენობისა.

დღეს-კი თვით ერი უნდა ერობდეს, ეროვნულ ბედის გამგებლობა მარტოდენ თვით ერისავე საქმე უნდა იყოს, მთელმა ერმა, ყოველმა მისმა შემადგენელმა ნაწილმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ეროვნულ ბედის გადაწყვეტაში.

ამიტომ, როცა ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს დათრგუნულ უფლებათა აღდგენას, ჩვენ ისტორიის ჩარხის უკან დაბრუნება-კი არ გვინდა, მეფობის და ბატონ-ყმობის დაბრუნება-კი არა გვსურს, როგორც ამას ხანდისხანა დაუფიქრებლად წამოისვრიან ხოლმე ჩვენის მრწამსის მოწინააღმდეგენი.

ჩვენა გვსურს, რომ ის, რაც 1783 წელს ეკუთვნოდა საქართველოს მეფეს, როგორც ქვეყნის სუვერენობის სიმბოლოს და განმახორციელებელს, ყველა ის უფლება, რომელიც

ენიჭება ტრაქტატით საქართველოს სამეფოს \*), და ძალდატანებით ჩამოერთვა მას,—დაუბრუნდეს დღეს ქართველს ერს, რომლის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად და გამომხატველად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ საქართველოს დამფუძვნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და საიღუმლო კენჭის ყრით.

აი ამ კრებას—მას, მარტო მას, და არა რომელსამე წოდებას, კლასს ან პოლიტიკურ პარტიას—შეუძლიან ილაპარაკოს მთელის ერის სახელით, იყვეს ერთად-ერთი კანონიერი და ამასთან უზენაესი წარმომადგენელი სრულიად საქართველოსა.

გ. ჟორდანია.

1906 წ. ენკენისთვე.

ქ. მოსკოვი.

---

\*) კანონმდებლობის, სამართლის და მმართველობის უფლება, რაც ახასიათებს სახელმწიფოს (და არა ხელმწიფის) დამოუკიდებლობას, სუვერენობას.

323.1

г 841.